საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/867
06.09.2024

ბრძანება

867-01-4-202409061633

გადაწყვეტილება

შპს „გეოპროფის“ (ს/ნ 400092546) 2024 წლის 26 ივლისის საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ

1. პროცედურული და ფაქტობრივი გარემოებები

1.1. მომჩივანის პოზიცია და საჩივრის მოკლე შინაარსი

2024 წლის 22 ივლისს (რეგ. №01/3708) და 26 ივლისს (დააზუსტა საჩივრის სახე, რეგ. №01/3795) საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში „სააგენტო“) წარმოდგენილ იქნა შპს „გეოპროფის“ (ს/ნ 400092546) (შემდგომში „მომჩივანი“) საჩივარი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში „ქუთაისის მერია“, „მოპასუხე“) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ.

მომჩივანი აღნიშნავს, რომ ქუთაისის მერიის მიერ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ქუთაისი - ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისთვის“ (“Kutaisi Integrated Transformation For Sustainable Development”) (პროექტის ნომერი 438-693) ფარგლებში, ქუთაისის მეოთხე საერთაშორისო ფორუმის „მეორე დონის, საშუალო და მცირე ზომის ქალაქების შესაძლებლობების გაძლიერება“ ორგანიზების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი (NAT240009796). შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა ზემოთ მითითებული ღონისძიების ფარგლებში (20-23 ივნისის პერიოდი) დელეგატების განთავსება ქუთაისის ცენტრალურ ნაწილში მდებარე 4 ვარსკვლავიან სასტუმროში. აღნიშნულ ტენდერში გამარჯვებულად, როგორც ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტი, მომჩივანი გამოცხადდა. ამდენად, მასვე დაევალა წარმოდგენილი სატენდერო პირობების შესაბამისად, ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტება. მომჩივანმა დააზუსტა

დოკუმენტაცია და დელეგატების სასტუმროში განთავსების მიზნით სატენდერო კომისიას შესთავაზა სასტუმრო „ვესთ ინნ ჯორჯია“, რომელიც მდებარეობდა ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქ. №19-ში.

მომჩივანი აღნიშნავს, რომ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების სრულყოფილად შესრულების მიუხედავად, 2024 წლის 30 მაისის სატენდერო კომისიის სხდომის №3 ოქმით მიღებული გადაწყვეტილებით მას მიანიჭეს დისკვალიფიკაცია. მომჩივანის განცხადებით, დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამებოდა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნას. კერძოდ, სატენდერო დოკუმენტაციის 1.3 პუნქტში მიმაგრებული ფასების ცხრილის მე-17 და მე-18 პუნქტის შესაბამისად, სასტუმრო განთავსებული უნდა ყოფილიყო ქუთაისის ცენტრალურ ნაწილში. მომჩივანი მიიჩნევს, რომ მითითებული მოთხოვნა შესრულდა სრულყოფილად და აღნიშნავს, რომ „ნიკეა“ წარმოადგენს ქუთაისის ცენტრალურ უბანს და იგი არ გახლავთ ე.წ. ქალაქის შემოგარენი ან გარეუბანი.

მომჩივანი მიუთითებს, ასევე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 27-ე მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად, *„სატენდერო კომისია არ ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, თუ მისი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემ(ებ)ს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობას/უზუსტობებს, რომლის/რომელთა წარდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს. ამასთან, დაზუსტებას არ ექვემდებარება ტექნიკური დოკუმენტაცია, თუ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნ(ებ)ის შესაბამისად, არ არის წარდგენილი ან მასში არ არის მითითებული ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის შესახებ, ასევე არ არის ან განუფასებლადაა წარდგენილი ხარჯთაღრიცხვა“.* მომჩივანი განმარტავს, რომ აღნიშნული კანონი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას იმ შემთხვევაში ითვალისწინებს, თუ მის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია გამოიწვევს სატენდერო მოთხოვნების არსებით შეცვლას, რაც განსახილველ შემთხვევაში არ მომხდარა, რადგან სატენდერო დოკუმენტაციაში გათვალისწინებული მოთხოვნები სრულყოფილად შეასრულა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მომჩივანი აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ სატენდერო პირობას სასტუმროს ცენტრალურ უბანში მდებარეობასთან დაკავშირებით, არ ჰქონდა დართული კონკრეტული უბნების ნუსხა ან/და სამართლებრივი რეგულაცია, რაც შესაბამისი ადგილმდებარეობის იდენტიფიცირების საშუალებას მისცემდა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს. ამიტომაც გაუგებარი იყო სატენდერო კომისიის მითითება სატენდერო პირობების არსებით დარღვევაზე.

მომჩივანი დამატებით აღნიშნავს, რომ სატენდერო დოკუმენტაციის სრულყოფის მიზნით სისტემაში მითითებულ ნომერზე დაუკავშირდა სატენდერო კომისიის აპარატის ერთ-ერთ წევრს და ჰკითხა, რამდენად შეიძლებოდა რამდენიმე

სასტუმროს შეთავაზება, რის პასუხადაც კატეგორიული უარი მიიღო. შესაბამისად, მომჩივანს მოუწია ისეთი სასტუმროს მოძიება და შეთავაზება, რომელსაც 20-23 ივნისის პერიოდში ექნებოდა 45 თავისუფალი ნომერი.

მომჩივნის განმარტებით, სატენდერო კომისიის 2024 წლის 06 ივნისის სხდომის №7 ოქმის შესაბამისად დადგინდა, რომ პრეტენდენტის - შპს „სივრცის“ მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებდა ტენდერის პირობებს. შესაბამისად, ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „სივრცე“ და 2024 წლის 12 ივნისს იგი მიწვეულ იქნა ხელშეკრულების გასაფორმებლად. მომჩივნის პოზიციით, გამარჯვებულის გამოვლენა კანონის მოთხოვნების უხეში დარღვევით განხორციელდა. მომჩივანი აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ შპს „სივრცის“ მიერ შეთავაზებული ორი სასტუმროდან ერთ-ერთს - „გელათი რეზიდენს“ - ჰქონდა 32 ნომერი, რაც არ შეესაბამებოდა სატენდერო პირობებს. ხოლო, მეორე სასტუმროს - „ბესთ უესთერნ ქუთაისს“ 45 ნომერი, თუმცა სატენდერო პირობით გათვალისწინებულ პერიოდში (20-23 ივნისი) თავისუფალი ჰქონდა მხოლოდ 3 ნომერი. მომჩივანი დამატებით აღნიშნავს, რომ ტენდერში მისი შეთავაზება განისაზღვრა 111 850 ლარით, ხოლო შპს „სივრცის“ - 150 000 ლარით. სატენდერო წინადადების ფასებს შორის სხვაობის გათვალისწინებით, მომჩივანი თვლის, რომ მას უსაფუძვლოდ მიანიჭეს დისკვალიფიკაცია.

მომჩივანი, ასევე, აღნიშნავს, რომ საჩივრით მიმართა სსიპ - სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს (შემდგომში „საბჭო“) და მოითხოვა ქუთაისის მერიის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი №3 (30.05.2024) მიღებული გადაწყვეტილების და სხდომის ოქმი №7 (06.06.2024) მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება. საბჭომ საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. კერძოდ, ქუთაისის მერიის სატენდერო კომისიის 2024 წლის 30 მაისის სხდომის №3 ოქმთან მიმართებით, საბჭომ სატენდერო კომისიას მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა დაავალა, ხოლო 2024 წლის 06 ივნისის №7 სხდომის ოქმის ნაწილში, გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.

აქვე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ, NAT240009796 ელექტრონული ტენდერი შეწყდა და მასში გამარჯვებული არ გამოვლენილა. საბოლოოდ, მოპასუხემ ქუთაისის მეოთხე საერთაშორისო ფორუმის ორგანიზების შესყიდვა განახორციელა შპს „სივრცესთან“ გამარტივებული შესყიდვის გზით .

მომჩივანი აცხადებს, რომ შპს „სივრცის“ ტენდერში გამარჯვების პირობებში, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე აზრს კარგავს და უშედეგოა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მომჩივანი საჩივარში მიუთითებს, რომ ქუთაისის მერიის მხრიდან დარღვეულია კანონის მე-10 მუხლი.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მომჩივნის მიერ წარმოდგენილი საჩივარი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად ქუთაისის მერიას გადაეგზავნა 2024 წლის 23 ივლისის წერილით (რეგ. №02/2721) და, გონივრულ ვადაში, მოეთხოვა პოზიციის წარმოდგენა საჩივარში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით.

მოპასუხის 2024 წლის 26 ივლისის (რეგ. №01/3811) პოზიცია მომჩივანს გადაეგზავნა 2024 წლის 29 ივლისს (№02/2786), თუმცა, მომჩივნის წარმომადგენელთან სატელეფონო კომუნიკაციის მიუხედავად, რომლის ფარგლებშიც მან სააგენტოსთან თანხმობა განაცხადა მოპასუხის წერილზე პოზიციის წარმოდგენასთან დაკავშირებით, მისი მხრიდან სააგენტოში მ/წ 29 ივლისიდან 06 სექტემბრის ჩათვლით, არ შემოსულა რაიმე სახის დამატებითი კორესპონდენცია.

1.2. საბჭოს გადაწყვეტილება

მომჩივანმა 2024 წლის 09 ივნისს საჩივრით (DIS240009796_01(NAT)) მიმართა საბჭოს და მოითხოვა ქუთაისის მერიის სატენდერო კომისიის №3 (30.05.2024) და №7 (06.06.2024) სხდომის ოქმებით მიღებული გადაწყვეტილებების გაუქმება.

საბჭომ საჩივრის და მასთან დაკავშირებული გარემოებების შესწავლის შედეგად მიიღო გადაწყვეტილება (25.06.2024) საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე (გადაწყვეტილება DIS240009796_01(NAT) საჩივართან დაკავშირებით იხ. ლინკზე https://tenders.procurement.gov.ge/dispute/).

გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, საბჭო აღნიშნავს, რომ 2024 წლის 30 მაისის სხდომის №3 ოქმში ქუთაისის მერიის სატენდერო კომისია მხოლოდ ზოგადად მიუთითებს, რომ *„სასტუმრო „ვესთ ინნ ჯორჯია“ მდებარეობს ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქ. №19-ში, რაც არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნას“* და *„წარმოდგენილი სასტუმრო უნდა მდებარეობდეს ქუთაისის ცენტრალურ ნაწილში“*, თუმცა დეტალურად არ მსჯელობს იმასთან დაკავშირებით, თუ კონკრეტულად რა იგულისხმება „ქუთაისის ცენტრალურ ნაწილში“ და რის საფუძველზე იქნა მიჩნეული, რომ პრეტენდენტის მიერ ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების შემდეგ სისტემაში ატვირთულ დოკუმენტში („NAT240009796_ინფორმაცია სასტუმროზე-signed.pdf“) მითითებული სასტუმრო ვერ აკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ზემოხსენებულ მოთხოვნას.

საბჭო მიუთითებს, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სატენდერო კომისიის ნებისმიერი გადაწყვეტილება და შესაბამისი მსჯელობა უნდა აისახოს სატენდერო კომისიის შესაბამის სხდომის ოქმში. ამავე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად კი, „სატენდერო კომისიის სხდომის ოქმში უნდა მიეთითოს სატენდერო კომისიის მსჯელობა.“

საბჭო აღნიშნავს, რომ სატენდერო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ამავე კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია წერილობითი სახით, უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. შესაბამისად, საბჭო მიუთითებს შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიას, დეტალურად აღწეროს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმებში კომისიის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება და მისი საფუძველი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭო მიიჩნევს, რომ ქუთაისის მერიის სატენდერო კომისიამ უნდა იმსჯელოს ზემოხსენებულ გარემოებაზე და მხოლოდ ამის გათვალისწინებით მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

აქვე, საბჭო აღნიშნავს, რომ მართალია, ის მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს და გადაწყვეტილება მიიღოს NAT240009796 ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებთან მიმართებით, თუმცა, სატენდერო დოკუმენტაციის შემდეგ ჩანაწერთან მიმართებით - „ქუთაისის ცენტრალურ ნაწილში“, საბჭო აღნიშნავს, რომ სატენდერო პირობები პრეტენდენტს უნდა აძლევდეს საშუალებას, ზუსტად შეაფასოს წარსადგენი დოკუმენტები/ინფორმაცია და მისი სატენდერო წინადადების ფასი. ამავდროულად, სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნები შესაძლებელს უნდა ხდიდეს პრეტენდენტისთვის, შეაფასოს სატენდერო წინადადების მოთხოვნებთან შესაბამისობა.

საბჭო აღნიშნავს, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-18 მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით *„დაუშვებელია გამოყენებულ იქნეს ისეთი აღწერა, რომელიც ორაზროვანია და უშვებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.“*

საბჭო განმარტავს, რომ სატენდერო პირობებში ორაზროვანი, ბუნდოვანი მოთხოვნების ჩადებამ, რომლებიც უშვებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, შესაძლებელია მნიშვნელოვნად შეამციროს პოტენციურ მიმწოდებელთა რიცხვი, ამასთან, შესაძლებელია, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიიღოს შესყიდვის ობიექტი, რომელიც შეუსაბამო იქნება მის რეალურ საჭიროებებთან. წარმატებული შესყიდვის ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას კი შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროების ნათლად და ზედმიწევნით ჩამოყალიბება წარმოადგენს, რაც განაპირობებს მიღებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის შემსყიდველი ორგანიზაციის მოლოდინთან შესაბამისობას.

საბჭო ყურადღებას ამახვილებს DIS240009796_01(NAT) საჩივარში მითითებულ გარემოებაზე, რომ: *„შპს „სივრცის“ მიერ შეთავაზებული ორი სასტუმროდან ერთ-ერთს „გელათი რეზიდენსს“ აქვს 32 ნომერი, რაც სატენდერო პირობების არსებითი დარღვევაა“* და აღნიშნავს, რომ მომჩივან ორგანიზაციას აღნიშნული ინფორმაციის დასადასტურებლად კონკრეტული მტკიცებულებები არ წარმოუდგენია, ამასთან, იმ შემთხვევაშიც, თუ დადასტურდება, რომ შპს „სივრცის“ მიერ შეთავაზებულ სასტუმროს - „გელათი რეზიდენსს“ აქვს 32 ნომერი, მომჩივანი

ორგანიზაცია არ მიუთითებს, თუ სატენდერო დოკუმენტაციის კონკრეტულად რომელ პირობას ეწინააღმდეგება აღნიშნული და რის საფუძველზე.

საბჭო, ასევე, აქცენტს აკეთებს DIS240009796_01(NAT) საჩივარში მითითებულ შემდეგ საკითხზე: *„ბესთ უესთერნ ქუთაისს“ აქვს 45 ნომერი, მაგრამ მითითებულ პერიოდში (20-23 ივნისს) თავისუფალია მხოლოდ 3 ნომერი“* და აღნიშნავს, რომ მომჩივან ორგანიზაციას აღნიშნული ინფორმაციის დასადასტურებლად კონკრეტული მტკიცებულებები არ წარმოუდგენია, ამასთან, საჩივრის განხილვის სხდომაზე მომჩივანი ორგანიზაციის წარმომადგენელმა თავად განმარტა: *„ჩვენ რომ მოვიკითხეთ, პრეტენდენტის მიერ შეთავაზებულ სასტუმროებს თავისუფალი ნომრები არ ჰქონდა ტენდერით მოთხოვნილ პერიოდში, თუმცა შეიძლება, ტენდერი რომ გამოცხადდა, თავიდანვე დაიჭირა პრეტენდენტმა თადარიგი და თვითონვე დაჯავშნა.“*

საბჭო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტის (შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის სხდომის შესაბამისი ოქმი) კანონიერების მტკიცების ტვირთის ამავე ორგანოსათვის დაკისრება არ ათავისუფლებს მომჩივან ორგანიზაციას საჩივრის დასაბუთების, თავისი მოთხოვნის საფუძვლიანობის დამდგენი ფაქტობრივი გარემოებების მითითებისა და მათი დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულებისაგან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საბჭომ მიიღო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილება. კერძოდ, დაავალა ქუთაისის მერიის სატენდერო კომისიას 2024 წლის 30 მაისის სხდომის №3 ოქმით მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა და მომჩივნის მიერ წარდგენილი დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის შერჩევა-შეფასება წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის გათვალისწინებითა და სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით. რაც შეეხება ქუთაისის მერიის სატენდერო კომისიის 2024 წლის 06 ივნისის სხდომის №7 ოქმს, აღნიშნულ ნაწილში გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა.

1.3. მოპასუხის პოზიცია

2024 წლის 26 ივლისის (რეგ. №01/3811) წერილობით კორესპონდენციაში ქუთაისის მერიამ წარმოადგინა საკუთარი პოზიცია საჩივართან დაკავშირებით.

მოპასუხის განმარტებით, მერიის 2024 წლის 28 მაისის სატენდერო კომისიის №2 სხდომის ოქმით განხილული იქნა აღნიშნულ ტენდერში მონაწილე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის, მომჩივანის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტაცია და მასვე მოეთხოვა დოკუმენტაციის დაზუსტება.

მოპასუხე მიუთითებს, რომ მომჩივანმა 2024 წლის 29 მაისს დააზუსტა დოკუმენტაცია და დელეგატების სასტუმროში განთავსების მიზნით სატენდერო კომისიას შესთავაზა სასტუმრო „ვესთ ინნ ჯორჯია“, რომელიც მდებარეობს ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა №19-ში, რაც არ შეესაბამებოდა სატენდერო

დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნას. კერძოდ, სატენდერო დოკუმენტაციის 1.2. პუნქტში მიმაგრებული ტექნიკური დავალების მე-17 და მე-18 პუნქტის და სატენდერო დოკუმენტაციის 1.3. პუნქტში მიმაგრებული ფასების ცხრილის მე-17 და მე-18 პუნქტის შესაბამისად, წარმოდგენილი სასტუმრო განთავსებული უნდა ყოფილიყო ქუთაისის ცენტრალურ ნაწილში.

მოპასუხე მიუთითებს საბჭოს 2024 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებაზე და აღნიშნავს, რომ ფორუმი დაგეგმილი იყო 2024 წლის 20-23 ივნისს და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად პროცედურებისათვის დადგენილი ვადების დაცვის შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა, მოესწრებოდა თუ არა ფორუმის ორგანიზება შესაბამის დონეზე. ღონისძიების მასშტაბისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, როგორც რეგიონისათვის, ასევე ქვეყნისთვის გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მიერ მიზანშეწონილად ჩაითვალა ქუთაისის მეოთხე საერთაშორისო ფორუმის ორგანიზების შესყიდვის განხორციელება გამარტივებული შესყიდვის გზით და მერიის 2024 წლის 17 მაისს აუქციონის გარეშე გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი (NAT240009796) შეწყვეტილი იქნა.

მოპასუხე ყურადღებას ამახვილებს საჩივარში მითითებულ გარემოებაზე, რომ: *„მოცემულ ტენდერში შპს „გეოპროფის“ მიერ შეთავაზება განისაზღვრა 111 850 ლარით, ხოლო შპს „სივრცის“ 150 000 ლარით“* და მიუთითებს, რომ აღნიშნული არ შეესაბამება რეალობას. კერძოდ, შპს „სივრცესთან“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობით ხელშეკრულება გაფორმდა 2024 წლის 12 ივნისს და სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა ლარით.

მოპასუხე, ასევე, განმარტავს, რომ სატენდერო დოკუმენტაციის 1.2. პუნქტში მიმაგრებული ტექნიკური დავალების მე-17 და მე-18 პუნქტითა და სატენდერო დოკუმენტაციის 1.3. პუნქტში მიმაგრებული ფასების ცხრილის მე-17 და მე-18 პუნქტის შესაბამისად, სასტუმრო განთავსებული უნდა ყოფილიყო ქუთაისის **ცენტრალურ ნაწილში** და არა, როგორც მომჩივანი საჩივარში აღნიშნავს, ქუთაისის **ცენტრალურ უბანში.** ამასთან, მოპასუხე მიუთითებს, რომ „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 თებერვლის №91 დადგენილებით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის განაშენიანების ტერიტორია იყოფა სამ ზონად: *<u>პირველი ზონა (ცენტრალური), მეორე ზონა (შუალედური), მესამე ზონა (პერიფერიული)</u>*. მოპასუხე აღნიშნავს, რომ მომჩივანის მიერ შეთავაზებული სასტუმროს ადგილმდებარეობა (ნიკეას ქ. №19) მიეკუთვნება **მესამე ზონას (პერიფერიული).** მოპასუხე განმარტავს, რომ თუ სასტუმროს მდებარეობასთან დაკავშირებით არსებობდა ბუნდოვანება, მომჩივანს შეეძლო ესარგებლა სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული პორტალის „კითხვა-პასუხის“ მოდულის მეშვეობით.

საჩივარში მითითებული გარემოების საპასუხოდ, სადაც მომჩივანი მიუთითებდა, რომ სატენდერო კომისიამ არ მიიღო შეთავაზება სხვა სასტუმროებთან დაკავშირებით, მოპასუხე აღნიშნავს, რომ „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების მე-7 მუხლით „შემსყიდველ ორგანიზაციასა და პრეტენდენტს/მიმწოდებელს შორის ნებისმიერი მიმოწერა მიმდინარეობს სისტემის შესაბამისი „კითხვა-პასუხის“ მოდულის მეშვეობით. სისტემის გამოყენების გარეშე მიმოწერა სავალდებულო არ არის. შეტყობინება ოფიციალურად მიღებულად ჩაითვლება მისი სისტემაში ატვირთვის მომენტიდან“ და ასევე, ამავე ბრძანების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით, „ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტს, ხოლო ორეტაპიან ელექტრონულ ტენდერში - საუკეთესო სატენდერო წინადადების მქონე პრეტენდენტს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების/ქმედების თაობაზე განმარტების მოთხოვნის უფლება აქვს ელექტრონული ტენდერისთვის ტენდერის სტატუსის ***„წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებიდან*** ტენდერის სტატუსის ***„ხელშეკრულება დადებულია“ მინიჭებამდე.*** ასეთ შემთხვევაში სატენდერო კომისია ვალდებულია გააკეთოს შესაბამისი განმარტება გონივრულ ვადაში“.

რაც შეეხება მომჩივანის მითითებას გამარჯვებული პრეტენდენტის შეთავაზებული სასტუმროს თავისუფალი ნომრების რაოდენობაზე, ამ საკითხთან დაკავშირებით, მოპასუხე განმარტავს, რომ სატენდერო კომისიას არ ჰქონდა ვალდებულება გადაემოწმებინა აღნიშნული ინფორმაცია, ხოლო შპს „სივრცის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა გამოიწვევდა შესაბამის საჯარიმო სანქციებს. ამასთან, მოპასუხე აღნიშნავს, რომ გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უზრუნველყო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მოპასუხე აღნიშნავს, რომ სატენდერო მოთხოვნა იყო პროპორციული, არადისკრიმინაციული და არ ზღუდავდა კონკურენციას, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა და არ დარღვეულა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი.

2. ნორმატიული რეგულირება

2.1. კონკურენციის კანონმდებლობა

2.1.1. მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის შესაბამისად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე“.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია. აღნიშნულის საფუძველზე, მე-2 მუხლით კონკრეტდება კანონის მიზანი: საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

სააგენტოში საჩივრის წარდგენის და აგრეთვე სადავო ქმედების განხორციელების დროს მოქმედი კანონის მე-10 მუხლი ე.წ. Numerus Clausus-ის პრინციპის[1] მიხედვით, ამომწურავად განსაზღვრავს იმ ქმედებათა ჩამონათვალს, რომელთა განხორციელებაც ეკრძალებათ სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს, კერძოდ:

„ა) კავშირის, ასოციაციის, გაერთიანების ან სხვა სახის სამეწარმეო სტრუქტურის შექმნა, თუ ეს იწვევს კონკურენციის შესუსტებას ან შეზღუდვას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) ეკონომიკური აგენტისთვის ისეთი შეღავათის დაწესება, რომელიც მას კონკურენტებთან ან პოტენციურ კონკურენტებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს და ზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ) ეკონომიკური აგენტის ეკონომიკური საქმიანობის ან/და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან სხვაგვარად შეფერხება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

დ) საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციისთვის სახელმწიფო სტრუქტურის შექმნა ან არსებული სახელმწიფო სტრუქტურისთვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც შეზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

---

[1] „დახურულ რიცხვთა პრინციპი“ - მიუთითებს კანონით გათვალისწინებულ ამომწურავ ჩამონათვალზე http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=11508

ე) ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ეკონომიკურ აგენტს დომინანტურ მდგომარეობას უქმნის, რაც არსებითად ზღუდავს თავისუფალ ფასწარმოქმნასა და კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა".

2.1.2. პროცედურული ნაწილი

კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ა", „ბ" და „გ" ქვეპუნქტების შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსთხოვოს კანონის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. ამასთან, „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის დარღვევის შემთხვევაში, წარუდგინოს მას დასაბუთებული წერილობითი დასკვნა და შესაბამისი რეკომენდაცია ამ ორგანოს მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების თაობაზე, მათ შორის, მოსთხოვოს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმება, ხოლო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღნიშნული საკითხი დასვას შესაბამისი ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე.

„საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე" კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-5 მუხლის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია დაიწყოს საქმის მოკვლევა საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ.

კანონის 22-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელიც მხარედ განიხილება. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი (actori incumbit probatio). მომჩივანს აქვს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულებაც და მას ეკისრება საჩივრის დასაბუთებულობის ვალდებულება. ეს იმას ნიშნავს, რომ თავად მომჩივანი განსაზღვრავს განსახილველ საკითხთა წრეს, ირჩევს სათანადო მოპასუხეს, უთითებს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის სახეს და ატარებს როგორც მოპასუხის სათანადოობის, ისე დარღვევის ფაქტის არსებობის დადასტურების რისკს.

„საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული ვადების დამტკიცების თაობაზე" კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანების (შემდგომში - „პროცედურა") მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სააგენტო საჩივრის მატერიალურ დასაშვებობას და მის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების

მიზანშეწონილობას შეისწავლის საჩივრის სრულყოფილი სახით რეგისტრაციიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით. აღნიშნულ ვადაში სააგენტოს გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: საჩივრის დასაშვებად ცნობის და საქმის მოკვლევის დაწყების შესახებ ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

პროცედურის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ზემოაღნიშნულ ვადაში (30 სამუშაო დღე, რომელიც შესაძლებელია გახანგრძლივდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით) სააგენტო შეისწავლის მხარეთა მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, დამატებით მოძიებულ ინფორმაციას და ახდენს მათ ურთიერთშეჯერებას. სააგენტო ასევე აანალიზებს, ხომ არ არსებობს საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშვება თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე. საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძვლები გაწერილია კანონის 24-ე მუხლსა და პროცედურის მე-13 მუხლის მესამე პუნქტში

საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება საჩივრდება კანონის 33[2] მუხლით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

2.2. სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა

ეროვნულ დონეზე სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობას არეგულირებს საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“. ამასთან, აღსანიშნავია, სახელმწიფო შესყიდვების პროცესში (მათ შორის გამარტივებული შესყიდვის განხორციელებისას) შემსყიდველი ორგანიზაციის ვალდებულება, უზრუნველყოს ჯანსაღი კონკურენცია, გამომდინარეობს არა მხოლოდ კონკურენციის, აგრეთვე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობიდანაც.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი მიზნად ისახავს სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფას, სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში *ჯანსაღი კონკურენციის* განვითარებას, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომისა და სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფას, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნასა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბებას.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი კონკრეტული შესყიდვისთვის განსაზღვრავს მოთხოვნებს, რომლებსაც შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემები. საკვალიფიკაციო მონაცემთა შერჩევის წესი დგინდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით. საკვალიფიკაციო მონაცემებისთვის წაყენებული მოთხოვნები უნდა იყოს სამართლიანი და არადისკრიმინაციული და ხელს უნდა უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას.

ამასთან, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, შესყიდვის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ახორციელებს მონიტორინგს შესყიდვის პროცესში ისეთი პრინციპების დაცვაზე, როგორიცაა საჯაროობა, სამართლიანობა და არადისკრიმინაციულობა, დადგენილი პროცედურების ზუსტად შესრულება და ანგარიშგება, *ღია და ეფექტიანი კონკურენციის* უზრუნველყოფა, რაციონალური და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა.

აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ ელექტრონული ტენდერის ჩატარებასთან, ასევე მისი ჩატარების შედეგად დადებული ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული საქმიანობის რეგლამენტაცია და მონიტორინგი რეგულირდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.

3. სააგენტოს შეფასება

3.1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი და სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობა

სააგენტო უფლებამოსილია, დაიწყოს საქმის მოკვლევა საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ.

ხაზი უნდა გაესვას, რომ საჩივრის დასაშვებობის საკითხის შესწავლა ხდება ორ ეტაპად: ჯერ მოწმდება, აქვს თუ არა სააგენტოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება, აწარმოოს მოკვლევა კონკრეტულ საკითხთან მიმართებით. შემდგომ ხდება იმის ანალიზი, შესაძლებელია თუ არა სააგენტოს უფლებამოსილებას დაქვემდებარებულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყება, მათ შორის,

გონივრული ეჭვის სტანდარტის დაკმაყოფილებიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო უფლებამოსილი არ არის განიხილოს საკითხი, ამ საკითხის შინაარსობრივი ანალიზი აღარ ხორციელდება და დაუშვებლობა დგინდება პროცედურულ საფუძველზე.

სააგენტო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ საჩივარში, მოპასუხესთან მიმართებაში საუბარია კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ შესაძლო დარღვევაზე. შესაბამისად, მოპასუხის ქმედება და წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასება უნდა მოხდეს გონივრული ეჭვის სტანდარტიდან გამომდინარე, სწორედ ამ დასახელებულ ნორმასთან მიმართებით.

როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტოში წარდგენილ საჩივარში, შპს „გეოპროფი“ აპელირებს ქუთაისის მერიის, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედებაზე, რაც გამოიხატა NAT240009796 ელექტრონული ტენდერში ბუნდოვანი სატენდერო მოთხოვნის დაწესებასა და ტენდერში მომჩივანის უსაფუძვლო დისკვალიფიკაციაში.

სააგენტო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის შესაბამისად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე [...] მხოლოდ კონკურენციის პირობებშია შესაძლებელი სუბიექტის თავისუფალი წარმოშობა, საქმიანობა და არსებობის შეწყვეტა. კონკურენციისადმი ხელის შეწყობით სახელმწიფო ახალისებს ბაზარზე სიცოცხლისუნარიანი სუბიექტების საქმიანობას. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს ჯანსაღი სამოქალაქო ბრუნვის ჩამოყალიბებას.“[2]

კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, მისი მიზანია სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობა. გარდა ამისა, იგი, ასევე, ემსახურება ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფას, ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობას, ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვას და ა.შ.

სწორედ ზემოთ ხსენებულ მიზნებთან შესაბამისობაში უნდა მოხდეს კანონის მე-10 მუხლის შეფასება, ვინაიდან ეს მუხლი პირდაპირ არის მიმართული სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ და მხოლოდ აქ არის თავმოყრილი ამ ორგანოებისათვის აკრძალულ ქმედებათა

---

[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება საქმეზე N1/2/411, 19.12.2008, პარ. 3 და 5

ფართო სპექტრი. შესაბამისად, ეკონომიკური საქმიანობის შეფერხებად უნდა დაკვალიფიცირდეს სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს ან/და სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ნებისმიერი ისეთი ქმედება, რომელიც ეკონომიკურ აგენტს უქმნის კონკრეტულ შესაბამის ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციულ, სამართლებრივ ან/და დისკრიმინაციულ ბარიერს/ბარიერებს, არამართლზომიერად ზღუდავს ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციას ან ეწინააღმდეგება ეკონომიკურ აგენტებს შორის თანასწორუფლებიანობის პრინციპს და ა.შ. ამდენად, სააგენტო, თითოეული საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე აფასებს, შესაძლოა თუ არა, ადგილი ჰქონდეს ამ მუხლით გათვალისწინებულ რომელიმე შემადგენლობის არსებობის სავარაუდო ნიშნებს და ისე იღებს გადაწყვეტილებას ამა თუ იმ საკითხზე მოკვლევის დაწყების შესახებ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოთხოვნები, რომელთაც განსაზღვრავს სატენდერო კომისია, უნდა გამომდინარეობდეს შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებიდან, უნდა იყოს პროპორციული და არადისკრიმინაციული, ხელს უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებასა და პრეტენდენტთა მიმართ თანასწორ მოპყრობას.

საგულისხმოა, რომ სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის ერთ-ერთი მიზანი სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებაა. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ ჯანსაღი კონკურენცია არსებითი მნიშვნელობისაა ეკონომიკისთვის, რამდენადაც ის არის საბაზრო ურთიერთობების ძირითადი შემადგენელი ელემენტი და წარმოადგენს ბაზრის სიმბოლოს, რომლის გარეშეც შეუძლებელია საბაზრო მეურნეობის საფუძვლების დაცვა, თავისუფალი ეკონომიკური არჩევანის პრინციპების განხორციელება, ცალკეული პერიოდისთვის სასაქონლო ბაზრებზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსება და მომხმარებლისთვის მისაღები ფასის ფორმირება.[3] შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სისტემის არსებობის ერთ-ერთ მთავარ მიზნად დასახელებულია კონკურენციის ხელშეწყობა.[4]

რაც შეეხება „სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლს - აღნიშნული დანაწესი ფართო დისკრეციას ანიჭებს შემსყიდველს საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენისას. კერძოდ, შემსყიდველი თავად ადგენს

---

[3] *ხიზანიშვილი ა.,* სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა თანამედროვე გამოწვევების წინაშე, თბილისი, 2019, გვ. 10.

[4] იქვე, გვ.11.

მოთხოვნებს ყოველი კონკრეტული შესყიდვისთვის. თუმცა, ამასთან, მუხლი შემსყიდველს უდგენს როგორც სამართლიანი და არადისკრიმინაციული მოთხოვნების შემუშავების, ასევე, საკუთარი სატენდერო პირობებით ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრების ვალდებულებას.

სააგენტო აღნიშნავს, რომ კონკურენციის და სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოქმედების სფეროები ერთმანეთთან იკვეთება სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის კანონმდებლობით დაკისრებული იმ ვალდებულების ნაწილში, რომელიც ჯანსაღი კონკურენციის დაცვასა და განვითარებას მოიაზრებს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო განმარტავს, რომ სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის განსაზღვრული დარღვევის დადგენისთვის, განსახილველია რიგი საკითხები, კერძოდ:

1. წარმოადგენს თუ არა მოპასუხე კანონის მე-10 მუხლის სუბიექტს;
2. სახეზეა თუ არა მერიის, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის, მხრიდან კონკურენციის შეზღუდვა.

3.2. ქუთაისის მერია, როგორც კანონის მე-10 მუხლის სუბიექტი

კანონის მე-10 მუხლის სპეციალურ სუბიექტებს წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის და სხვა ადმინისტრაციული ორგანო. შესაბამისად, მოპასუხე ჩაითვლება ამ მუხლის სუბიექტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმოადგენს დასახელებული ორგანოებიდან ერთ-ერთს.

სააგენტო აღნიშნავს, რომ მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია კანონის მე-10 მუხლის სუბიექტად ყოფნის შერაცხვის საკითხი.

მიუხედავად ამისა, მეტი სიცხადის მიზნით, სააგენტო ხაზს უსვამს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი არის მერი, ხოლო 50-ე მუხლის მიხედვით, მერია არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსადმი დაქვემდებარებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს მერიის უფლებამოსილების განხორციელებას. მერიას ხელმძღვანელობს მერი.

ქუთაისის მერიის მიერ გამოცხადებულ NAT240009796 ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში შემსყიდველის სახით გამოდის ქუთაისის მერია, რომელიც წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის მერის მიერ. მუნიციპალიტეტის მერი მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად, რომელიც უზრუნველყოფს მერიის უფლებამოსილების

განხორციელებას, წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს და შესაბამისად კანონის მე-10 მუხლის ადრესატს.

ამდენად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, როგორც მუნიციპალიტეტის ორგანო, ექცევა კანონის მე-10 მუხლით განსაზღვრულ „მუნიციპალიტეტის ორგანოს“ ცნებაში და წარმოადგენს მის სპეციალურ სუბიექტს.

3.3. გონივრული ეჭვის სტანდარტი, როგორც მოკვლევის დაწყების საფუძველი

კონკრეტულ საკითხზე მოკვლევის დაწყება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს ხელთარსებული ინფორმაცია/დოკუმენტები აკმაყოფილებს გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს, რომელიც მოკვლევის დაწყების აუცილებელი წინაპირობაა.

სააგენტოს, როგორც კონკურენციის სამართლის აღმასრულებელ და კონკურენციის პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოს, უფლება აქვს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს. ამასთან, სააგენტო ყურადღებით აფასებს საჩივარში მოცემულ ინფორმაციას და დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს საჩივრის დასაბუთებულობას. საბოლოოდ, ფასდება მოპასუხის/მოპასუხეთა მიერ წარმოდგენილი საპირწონე არგუმენტები და მტკიცებულებები, ისევე, როგორც საჯარო წყაროებიდან მოპოვებული ან სხვა სუბიექტებისგან მიღებული სხვა ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა საქმისათვის გამოსადეგი იყოს და გადაწყვეტილება დასაშვებობისა თუ დაუშვებლობის შესახებ მიიღება სააგენტოში მოგროვებული ინფორმაციის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე.

ვინაიდან საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობაში არ არის განმარტებული გონივრული ეჭვი, სააგენტო გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყურადღებას აქცევს ევროკომისიის პრაქტიკასა და ანალოგიური ტერმინის ევროპულ განმარტებას.

ევროკავშირის კანონმდებლობა ითვალისწინებს მომჩივანის ფორმალურ სტატუსს. მომჩივანს კონკურენციის კანონმდებლობის (შესაძლო) დარღვევის შედეგად უნდა ადგებოდეს ზიანი და მასვე ევალება შესაძლო სამართალდარღვევის შესახებ მტკიცებულებების წარმოდგენა. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც კი, ევროკომისიას აქვს მოკვლევის დაწყების შესახებ დისკრეცია.

ევროკომისიის ნოტა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 101-ე და 102-ე მუხლების შესაბამისად პროცედურების

წარმართვის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ[5] განმარტავს, რომ „კონკურენციის სამართლის ყველა საქმე, მიუხედავად მათი დაწყების საფუძვლებისა, გადის პირველადი შეფასების ფაზას. ამ ფაზის დროს, კომისია ამოწმებს, იმსახურებს თუ არა საქმე შემდგომ მოკვლევას“.

ზემოთ ხსენებული ნოტა, ასევე, იმეორებს, რომ „ევროკომისია არ არის ვალდებული, ყველა საჩივრის შესახებ მოკვლევა დაიწყოს“ და რომ „იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი აკმაყოფილებს ფორმის[6] მოთხოვნებს, მაგრამ საკმარისად ვერ ასაბუთებს მასში აღნიშნულ ბრალდებებს, კომისიას ამ საფუძვლით მისი უარყოფა შეუძლია.“

საქართველოს კანონმდებლობა სააგენტოს უდგენს ფორმალურ ვალდებულებას, მოახდინოს რეაგირება ნებისმიერ შემოსულ საჩივარზე, კერძოდ, შეაფასოს მათი ფორმალური და, შემდგომში, მატერიალური დასაშვებობა. ამავდროულად, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კონკურენციის კანონმდებლობა სააგენტოს ანიჭებს კონკურენციის პოლიტიკის დამოუკიდებლად განხორციელების უფლებამოსილებას. ეს კი გულისხმობს, საქმის გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად, გონივრული ეჭვის სტანდარტის გათვალისწინებით, გადაწყვეტილების მიღებას მოკვლევის დაწყება/არდაწყების თაობაზე. საჩივარში აღწერილი გარემოებები გაანალიზებულია სწორედ ზემოთ აღნიშნული პირობების ჭრილში.

3.4. ქუთაისის მერიის ქმედების მიმართება კანონის მე-10 მუხლთან

როგორც უკვე აღინიშნა, 2024 წლის 26 ივლისს მომჩივანმა სააგენტოში წარმოადგინა საჩივარი (რეგ. №01/3795) მოპასუხის მიერ კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ. კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევას შესაძლოა წარმოადგენდეს NAT240009796 ელექტრონულ ტენდერში გამოყენებული სატენდერო პირობა, რომლის მიხედვითაც დელეგატების სასტუმროში განთავსების მიზნით შემოთავაზებული სასტუმრო უნდა მდებარეობდეს ქალაქ ქუთაისის ცენტრალურ ნაწილში. მომჩივანი აღნიშნავს, რომ ის სრულად აკმაყოფილებდა სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს და ხსენებულ ტენდერში მას დაუსაბუთებლად მიენიჭა დისკვალიფიკაცია.

სააგენტომ განიხილა ქუთაისის მერიის მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის - NAT240009796 სატენდერო დოკუმენტაცია. როგორც სადავო სატენდერო დოკუმენტაციით დგინდება, შესყიდვის ობიექტი იყო - 20-23

---

[5] Commission notice on best practices for the conduct of proceedings concerning Articles 101 and 102 TFEU (იხ. Public Consultations - European Commission (europa.eu)), პარა. 11-12

[6] ევროკომისიის მიერ დადგენილი საჩივრის ფორმა.

ივნისს დაგეგმილი ღონისძიების ფარგლებში, დელეგატების განთავსება ქუთაისის ცენტრალურ ნაწილში მდებარე 4 ვარსკვლავიან სასტუმროში. სააგენტო გაეცნო მოპასუხის 2024 წლის 26 ივლისის (რეგ. №01/3811) წერილობით კორესპონდენციაში წარმოდგენილ პოზიციას საჩივარში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით. ასევე, მხედველობაში მიიღო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება (25.06.2024).

პირველ რიგში, სააგენტო განმარტავს, რომ იგი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს და წყვეტს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის შემთხვევებს და მის უფლებამოსილებაში არ შედის სხვა უწყების/ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის (მათ შორის, ტენდერში დისკვალიფიკაციის მინიჭების მართლზომიერება) განხილვა. შესაბამისად, წარმოდგენილი საჩივრის ფარგლებში, სააგენტო განიხილავს და შეაფასებს სატენდერო მოთხოვნის შესაბამისობას კონკურენციის კანონმდებლობასთან. ასევე, შესყიდვის ობიექტის გათვალისწინებით, სააგენტო შეაფასებს პრეტენდენტების/პოტენციური სუბიექტების ტენდერში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას. სწორედ აღნიშნული გარემოება იქნება იმის განმსაზღვრელი, მოპასუხის მიერ დაწესებული სატენდერო მოთხოვნა არის თუ არა კონკურენციის შემზღუდველი.

როგორც უკვე აღინიშნა, კონკურენციის სამართლის მიზანი არის კონკურენციის ხელშეწყობა, რაც გულისხმობს კონკურენციის, როგორც პროცესის დაცვას და არ არის მიმართული რომელიმე ეკონომიკური აგენტისათვის უპირატესობის მინიჭებისაკენ. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის უფლება იცავს ეკონომიკურ აგენტებს სახელმწიფოს მხრიდან გაუმართლებელი ბარიერების დაწესებისგან. ხსენებული უფლება ასევე იცავს ეკონომიკურ აგენტებს მათ საქმიანობაში სახელმწიფოს დაუსაბუთებელი ჩარევისაგან, მათ შორის, შერჩევითი საფუძვლით რომელიმე ეკონომიკური აგენტისათვის სარგებლის მინიჭებისაგან.[7] შესაბამისი ბაზრის ორგანული და ბუნებრივი განვითარების პროცესში არათანაზომიერი, ხელოვნური ჩარევა ნებისმიერ შემთხვევაში ეწინააღმდეგება თავისუფალი ბაზრისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს მიმართ არსებულ საჯარო ინტერესებს.

ზემოთ მოცემული განმარტებით დგინდება, რომ სახელმწიფო მართალია ვალდებულია დაიცვას თავისუფალი ვაჭრობა და კონკურენცია, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს, რომ საქმიანობის განხორციელების უფლება არ უნდა მოექცეს გარკვეულ მოთხოვნებსა თუ შეზღუდვებში. სასამართლო აქცენტს აკეთებს გაუმართლებელი ბარიერების დაწესების აკრძალვაზე და ბაზრის განვითარებაში არათანაზომიერ, ხელოვნურ ჩარევაზე, რომელიც ვერ იქნება გამართლებული ღირებული ლეგიტიმური საჯარო ინტერესით.

---

[7] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №2/11/747, 14.12.2018, პარ. 3 და 7

ზოგადად, ყველა ტიპის რეგულაცია თუ მოთხოვნა, რომელიც წესდება ამა თუ იმ საქმიანობის განხორციელების წინაპირობად, წარმოადგენს ბარიერს, რომლის გადალახვის ვალდებულებაც წარმოეშობა ეკონომიკურ აგენტს იმისათვის, რომ მოიპოვოს კონკრეტული საქმიანობის განხორციელების უფლება. ნებისმიერი აქტი, რომელიც ითხოვს ლიცენზირებას, ნებართვის აღებას, ხარისხისა თუ უსაფრთხოების სტანდარტის დაკმაყოფილებას, რეგისტრაციის პროცედურას, საქმიანობის დასაწყებად გარკვეული ფინანსური რესურსის არსებობასა თუ სხვა მრავალ ადმინისტრაციულ-ტექნიკურ ნიუანსს, მეწარმე სუბიექტს წარმოუქმნის გარკვეული ტიპის სირთულეს და შეიძლება მისი მხრიდან აღქმულ იქნეს ჩარევად ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლად განხორციელების პროცესში[8] , თუმცა, რიგ შემთხვევებში, ხსენებული მოთხოვნები და რეგულაციები წარმოადგენს იმ საჭიროებას, რომელიც ემსახურება სახელმწიფო უწყებების მხრიდან მათი ფუნქციების ჯეროვნად განხორციელებას და შესაბამისი საქონლის/მომსახურების მიღების აუცილებლობას.

კანონის მე-10 მუხლი, კანონის მიზნის, კერძოდ, კონკურენციის პროცესის დაცვას უზრუნველყოფს იმ თვალსაზრისით, რომ კრძალავს საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანოების მიერ, საჯარო უფლებამოსილების გამოყენების გზით, რაიმე სახის ბარიერის შექმნას ან რაიმე სახის შერჩევითი უპირატესობის მინიჭებას რომელიმე ეკონომიკური აგენტისთვის. ხსენებული მუხლის ყველა სპეციალური შემადგენლობა სწორედ ამ ძირითადი მიზნის დაცვას ემსახურება და ცდილობს უზრუნელყოს კონკურენციის სამართლიანი პროცესი, როგორც ეკონომიკური აგენტების შესაძლებლობა, რომ ერთმანეთს ჯანსაღ გარემოში გაუწიონ პაექრობა, ხოლო ამ პაექრობის შედეგი დამოკიდებული იყოს ობიექტურ გარემოებებზე და არა კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანოს სუბიექტურ მიდგომაზე. ამდენად, სწორედ ეს პრინციპები უნდა იყოს გათვალისწინებული სააგენტოს მიერ, რათა შეფასდეს, არის თუ არა გონივრული ეჭვი კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით.

სააგენტოს შეფასებით, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი პოზიციისა და სატენდერო პირობების ანალიზის შედეგად, დგინდება, რომ ტენდერში სამმა პრეტენდენტმა მიიღო მონაწილეობა. განსახილველ ტენდერთან დაკავშირებით, სააგენტო აღნიშნავს, რომ სატენდერო მოთხოვნა სასტუმროს განთავსებასთან დაკავშირებით, ქუთაისის ცენტრალური ნაწილის დაფარვის არეალის გათვალისწინებით იყო ზოგადი და ერთგვაროვანი ყველა პრეტენდენტისთვის, ანუ აღნიშნული პირობის დაკმაყოფილება ევალებოდა ყველა პრენტენდენტს/პოტენციურ პრეტენდენტს, რაც ვერ ჩაითვლება კონკრეტულ ეკონომიკურ სუბიექტზე მორგებულ პირობად.სააგენტო, ასევე, მიუთითებს, რომ

[8] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 21 მაისის N04/71 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება (იხ. დეტალურად https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/bc519992735b46d499097b7279ddda36.pdf)

სატენდერო მოთხოვნების ბუნდოვანების შემთხვევაში, პირობები სიცხადეს მოკლებული იქნებოდა არა მარტო მომჩივანისთვის, არამედ ტენდერში მონაწილე სხვა სუბიექტებისთვისაც, რაც, ამ კუთხით, გამორიცხავს მერიის მხრიდან სატენდერო პირობების საფუძვლით რომელიმე ეკონომიკური აგენტისათვის უპირატესობის მინიჭების ფაქტი.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მომჩივანის პოზიცია სატენდერო პირობის დისკრიმინაციულობასთან დაკავშირებით არ არის გამყარებული მოთხოვნის საფუძვლიანობის დამდგენი ფაქტობრივი გარემოებებითა და სამართლებრივი საფუძვლით, რამეთუ მოპასუხის მიერ დაწესებული სატენდერო პირობები, როგორც შესყიდვის მიზნობრიობიდან იკვეთება ობიექტურად გამართლებული პირობებია შემსყიდველი ორგანიზაციის, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს საჭიროებების (ჩატარებული ღონისძიების მასშტაბისა და მნიშვნელობის მხედველობაში მიღებით) გათვალისწინებით და რომელიც ამავდროულად, არ უზღუდავს ბაზარზე არსებულ პოტენციურ სუბიექტებს ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობას.

დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტო გაეცნო მოპასუხის 2024 წლის 26 ივლისის (რეგ. N 01/3811) წერილობით პასუხში წარმოდგენილ პოზიციას, სადაც მოპასუხე, მათ შორის, მიუთითებს, რომ „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 თებერვლის №91 დადგენილებით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის განაშენიანების ტერიტორია იყოფა სამ ზონად: პირველი ზონა (ცენტრალური), მეორე ზონა (შუალედური), მესამე ზონა (პერიფერიული). მოპასუხე აღნიშნავს, რომ **მომჩივანის მიერ შეთავაზებული სასტუმროს** ადგილმდებარეობა (ნიკეას ქ. №19), დადგენილების დანართი №1-ით, ექცევა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ზონების მესამე ზონის **(პერიფერიული) მესამე ქვეზონაში.** ხოლო სატენდერო პირობით მოთხოვნილი იყო, რომ სასტუმრო განთავსებული ყოფილიყო ცენტრალურ ნაწილში.

სააგენტო აღნიშნავს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან კონკრეტული მოთხოვნების შემუშავება და დაწესება არადისკრიმინაციულობისა და მიუკერძოებლობის პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს, რასაც საფუძვლად ბაზრის შესწავლა და შემსყიდველის საჭიროებების გათვალისწინება უნდა დაედოს. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე სააგენტოში წარმოდგენილი/გამოთხოვილი/მოძიებული ინფორმაციისა თუ მტკიცებულებების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება სატენდერო პირობების დადგენასთან დაკავშირებით, არ უგულებელყოფს კანონის მე-10 მუხლით დადგენილ აკრძალვებს, რადგან არ იკვეთება მერიის მხრიდან კონკურენციის

შეზღუდვა და, მათ შორის, ვერც მომჩივანმა მხარემ შეძლო დაეძლია მტკიცების ტვირთი, მხარე ვერ უთითებს რაიმე უტყუარ გარემოებას ან მყარ მტკიცებულებას კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევაზე.

სააგენტოს შეფასებით, კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის გონივრული ეჭვი იარსებებდა იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხის მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში, ადგილი ექნებოდა კონკურენციის შეზღუდვის ფაქტს. კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევა შესაძლოა, ასევე სახეზე ყოფილიყო იმ შემთხვევაშიც, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილი პირობები იქნებოდა დისკრიმინაციული, უპირატესობას მიანიჭებდა ან მორგებული იქნებოდა რომელიმე პრეტენდენტზე.

სააგენტო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მოპასუხის 2024 წლის 26 ივლისის (რეგ. №01/3811) წერილი, სადაც მოცემული იყო ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საპასუხოს არგუმენტები საჩივარში დასმულ საკითხებთან მიმართებით სააგენტოს 2024 წლის 29 ივლისის კორესპონდენციით (რეგ. №02/2786) გადაეგზავნა მომჩივან მხარეს როგორც ელ-ფოსტაზე, ასევე, ელექტრონული ფოსტის საშუალებით. ვინაიდან მომჩივანს არ დაუდასტურებია ელ.ფოსტაზე მიღებული შეტყობინება და,ასევე, ვერც საფოსტო გზავნილის მისთვის ჩაბარება მოხერხდა, მხარისთვის კორესპონდენციის ჩაბარების უზრუნველსაყოფად სააგენტომ განახორციელა კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები. კერძოდ, „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანების შესაბამისად, თუ სააგენტო გაგზავნილ წერილობით დოკუმენტს ვერ აბარებს მას ადრესატს, ადრესატი უარს აცხადებს დოკუმენტის ჩაბარებაზე ან არ ადასტურებს ელექტრონული ფოსტით მის მიღებას, სააგენტო უფლებამოსილია საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს გაუგზავნოს დოკუმენტის გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე ატვირთვის შესახებ თხოვნა, რის შემდეგაც საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის მეშვეობით დოკუმენტის ადრესატისთვის გაგზავნას. ამ შემთხვევაში დოკუმენტი ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი გახსნის მომენტიდან. აღნიშნული კორესპონდენცია მომჩივანისთვის ჩაბარების მიზნით, გაეგზავნა სსიპ შემოსავლების სამსახურს, რის შემდეგაც 2024 წლის 13 აგვისტოს განხორციელდა წერილის გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე ატვირთვა. აღსანიშნავია, რომ მომჩივანმა დაგვიანებით, 2024 წლის 13 აგვისტოს დაადასტურა ელ.ფოსტაზე კორესპონდენციის მიღება, ხოლო გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე ატვირთულ იმავე კორესპონდენციას გაეცნო 2024 წლის 15 აგვისტოს. თუმცა, მომჩივნის მიერ

კორესპონდენციის ჩაბარებისა და მის წარმომადგენელთან სატელეფონო კომუნიკაციის მიუხედავად, გონივრულ ვადაში, მომჩივანს არ წარმოუდგენია მოპასუხის პოზიციის შესახებ რაიმე მოსაზრება ან/და საკუთარი საჩივრის დასაბუთებულობისთვის დამატებითი მტკიცებულება, რომელიც მოპასუხის ქმედების საქართველოს კონკურენციის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შეუსაბამობას დაადასტურებდა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ კანონის მე-10 მუხლთან მიმართებით, მომჩივანმა მტკიცების ტვირთის ფარგლებში ვერ შეძლო დაეკმაყოფილებინა შესაბამისი გონივრული ეჭვის სტანდარტი, გარდა ამისა, სააგენტოს მიერ ინკვიზიციურობის პრინციპის საფუძველზე გამოთხოვილი და დამუშავებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის შედეგად არ წარმოიშვება გონივრული ეჭვი, რის გამოც საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტს. კერძოდ, არ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი და სავარაუდო დარღვევის გონივრული ეჭვი, რის გამოც სააგენტო მოკვლევის დაწყებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს.

სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17^1 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული „საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურები და ვადების“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-13 მუხლის პირველი,მე-2 პუნქტებისა და მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნტის შესაბამისად,

სააგენტომ დაადგინა:

1. შპს „გეოპროფის“ (ს/ნ: 400092546) 2024 წლის 26 ივლისის №01/3795 საჩივარი არ იქნეს დასაშვებად ცნობილი.

2. მომჩივანს უარი ეთქვას წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება ეცნობოს მომჩივან და მოპასუხე მხარეს.
4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.
5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე აქტის ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).
6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე



თავმჯდომარე